

საქართველოს მთავრობის

უცხოური განცხადი

№12
922




საქართველოს
საპატირიარქოს
პრესცენტრის
ყოველკვირეული
გამოცემა

28 მარტი - 3 აპრილი 2019 წ. გამოიცამა 1999 წლის 8 იანვრიდან
ვასი 70 თეთრი

✖ პატირიარქის ქადაგებაზე

✖ „თანამაღლოვა ადამიანი
ვილტუალური სამყაროს
ფუნდი იქცა“

გვესაუბრება
მღვდელი
დავით
მექვაბიშვილი



✖ ჯვართაყვანისცემა

✖ გვიანი ანტიკური ხანის
ნეოპლატონური ტრადიცია
შუა საუკუნეების
საქართვალოში

✖ მაგისტრის დიპლომების
გადაცემის საზოგოვრო ცერემონია

✖ „...გვიყიდე ჩუან ჟან ღმრთისა
სისხლითა შანითა
ყოვლისაგანვა თასხლისა და
ენისა და ერთა...“

✖ დავანოზი
გაპრიელ პარნაპიშვილი



საჭირო
ქადაგის,
უკანონო
უკანონო



✖ გართიანება
საპატირიარქოს
„გემოვანი“ და
პური „მზათამზა“

ფოთისა და ცობის ეპარქია - ახალი საქართველოს უნივერსიტეტი

ახალი საქართველოს უნივერსიტეტის ახალი გამოცემების პრეზენტაცია

2019 წლის 22 მარტს ახალი საქართველოს უნივერსიტეტში ორი ახალი სამეცნიერო პუბლიკაციის პრეზენტაცია გაიმართა. ეს პუბლიკაციებია: „ჰესაქმის მართლმადიდებლური ხედვა“ (მიტრო-პოლიტი კალისტე უეარი, ქართულად თარგმნა ასოც. პროფ. გიორგი ხუროშვილმა, რედაქტორები: მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი) და პროფ. თენგიზ ირემაძე). პირველი მათგანი ახალი

„შესაქმის მართლმადიდებლური ხედვა“ (მიტრო-პოლიტი კალისტე უეარი, ქართულად თარგმნა ასოც. პროფ. გიორგი ხუროშვილმა, რედაქტორები: მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი) და პროფ. თენგიზ ირემაძე). პირველი მათგანი ახალი

საქართველოს უნივერსიტეტში 2017 წელს გამართული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებს მოიცავს. მასში შესულია რელიგიის ფილოსოფიის ნამყვანი ქართველი (თ. ირემაძე, გ. გოგატიშვილი, გ. ხუროვანი, ლ. ზაქარაძე) და უცხოელი მკვლევარების (პ. შნაიდერი, ჯ. რინალდი, გ. კრუკი, ტ. კლეფმანი, უ. მარმასი, ნ. ვასცეკი) სტატიები დიდი გერმანელი ფილოსოფოსის — გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ შეგელის რელიგიის ფილოსოფიის შესახებ. რელიგიის ფილოსოფიაში შეგელის ნააზრევი მსოფლიო აზროვნების ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. ამასთან, საქართველოში ეს საკითხები ნაკლებად გამოკვლეულია. ამ ორი ფაქტორიდან გამომდინარე და კრებულში შესული ავტორების კვალიფიციურობის მაღალი დონის გათვალისწინებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოცემული კრებული ქართულ ფილოსოფიაში სრულიად ახალ და უმნიშვნელოვანეს სიტყვას ნარმოდადგენს.

რაც შეეხება მეორე გამოცემას, ის მსოფლიოში განთქმული მართლმადიდებელი თეოლოგის, მიტროპოლიტ კალისტეს (უერი) თხზულებას ნარმოადგენს, რომელიც ქართულად თარგმ-

ნა ახალი საქართველოს უნივერსიტეტის ასოც. პროფესორმა გიორგი ხუროშვილმა. მიტროპოლიტ კალისტეს ტექსტში მრავალი მნიშვნელოვანი საკითხია განხილული. აქ საუბარია ადამიანისა და ღმერთის ურთიერთობის, ადამიანის სხვა ადამიანებთან და გარესამყაროსთან მიმართების შესახებ. თხზულებაში ნარმოჩენილია ის პრობლემები, რომლებიც განსაკუთრებული სიმნივავით დგას თანამედროვეობაში — საგანგებოდ ეთმობა ყურადღება ეკოლოგიის საკითხებს.

სამეცნიერო ღონისძიება გახსნა ახალი საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორმა თენგიზ ირემაძემ. სიტყვით გამოვიდნენ: ახალი საქართველოს უნივერსიტეტის რექტორი, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი გრიგორი (ბერბიჭაშვილი), პროფ. ლალი ზაქარაძე და ასოც. პროფ. გიორგი ხუროშვილი. მათ ამ პუბლიკაციათა მეცნიერული მნიშვნელობის შესახებ ისაუბრეს. პრეზენტაციის შემდეგ დამსწრე საზოგადოებას ორივე წიგნი საჩუქრად გადაეცა.

დაინტერესებული მკითხველი ამ გამოცემების შეძენას შეძლებს წიგნების მაღაზიათა ქსელ „ბიბლუსში“.